# 2022 წლის 16 ნოემბერს განახლებულ მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოყვანის სამოქმედო გეგმა

| განახლებული დარგობრივი მახასიათებლის ცვლილებები | ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანისთვის დაგეგმილი აქტივობები | პასუხისმგებელი სტრუქტურები | შეფასების ინდიკატორები | შესრულების ვადები |
|---|---|---|---|---|
| **მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის (შემდგომ - დარგობრივი მახასიათებელი) მე-2 პუნქტის (სწავლის სფეროს აღწერა) 2.5 ქვეპუნქტი - „საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების განსაკუთრებული პირობები „ ძალაში შევიდეს დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცებიდან 1 წლის შემდეგ.** 2023 წლის 16 ნოემბერი | საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების განსაკუთრებული პირობები ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე კანონდებლობით დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში აბიტურიენტის დაშვების წინაპირობების დადგენა | მედიცინის ფაკულტეტი, მედიცინისა და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური | საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების განსაკუთრებული პირობები ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე კანონდებლობით დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში აბიტურიენტის დაშვების წინაპირობები | 2024 წელი |
| დარგობრივი მახასიათებლის მე-4 პუნქტის (სწავლება, სწავლა და შეფასება) მე-11 პუნქტის ჩანაწერი - „უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებული უნდა იყოს პაციენტებთან და | შესრულებულია | მედიცინის ფაკულტეტის და მედიცინისა და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტის | | განახლებული კურიკულუმი და სასწავლო გეგმა (იხ.დანართი 1) |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სამედიცინო პერსონალთან ეფექტური კომუნიკაციისთვის ქართული ენის სწავლება (სულ მცირე, 12 კრედიტი)“ - ძალაში შევიდეს დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცებიდან **6 თვის ვადაში.**<br>2023 წლის 16 მაისი | | კურიკულუმის კომიტეტები და ფაკულტეტის საბჭოები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური | | |
| **დარგობრივი მახასიათებლის მე-5 პუნქტის (დამატებითი ინფორმაცია) 5.1. ქვეპუნქტით (მოთხოვნები ადამიანური რესურსისადმი) გათვალისწინებულ „მედიცინის ინგლისურენოვანი პროგრამის“ სვეტში არსებული ჩანაწერი –**<br>• ინგლისურენოვანი პროგრამით სწავლების, სულ მცირე, 3 წლის გამოცდილება<br>• ან საზღვარგარეთ მოქმედ კლინიკაში ინგლისურ ენაზე საექიმო საქმიანობის განხორციელება არანაკლებ 1 წლის განმავლობაში;<br>• ან საზღვარგარეთ მოქმედ კვლევით დაწესებულებაში ბიომედიცინის მიმართულებით სასწავლო/კვლევითი საქმიანობის ინგლისურ ენაზე განხორციელება არანაკლებ 1 წლის განმავლობაში;<br>• ან ინგლისურენოვანი დიპლომამდელი ან | აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის საკონკურსო პირობების დაზუსტება, ცვლილებები ინგლისურენოვან პროგრამებზე მოწვეული მასწავლებლების შერჩევის კრიტერიუმებში | მედიცინის ფაკულტეტი, მედიცინისა და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტი, თსსუ-ის ადამიანური რესურსების დეპარტამენტი, თსსუ-ის აკადემიური საბჭო, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური | აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის საკონკურსო პირობები, ინგლისურენოვან პროგრამებზე მოწვეული მასწავლებლების შერჩევის კრიტერიუმები | 2024 წელი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| დიპლომისშემდგომი პროგრამის დასრულება, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით;<br>• ან ინგლისური ენის, სულ მცირე, B2 დონის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატით (IELTS, TOEFL, Cambridge English, UNIcert, EnglishScore და სხვ.).“ - ძალაში შევიდეს დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცებიდან 1 წლისა და 6 თვის შემდეგ.<br>2024 წლის 16 მაისი | | | | |
| **დარგობრივი მახასიათებლის მე-5 პუნქტის (დამატებითი ინფორმაცია) 5.2 ქვეპუნქტით (მოთხოვნები მატერიალური რესურსისადმი) გათვალისწინებულ „კლინიკური დისციპლინების“ სვეტში არსებული ჩანაწერი - „საუნივერსიტეტო/სასწავლო კლინიკასა და/ან აფილირებული კლინიკაში (ხელშეკრულების საფუძველზე), პაციენტი/სტუდენტის თანაფარდობა სასწავლო კურსის/კურაციის განმავლობაში უნდა შეადგენდეს:** | შესრულებულია | - | - | სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| • თერაპიული პროფილის დეპარტამენტებში - 1 პაციენტზე არაუმეტეს 10 სტუდენტის<br>• ქირურგიული პროფილის დეპარტამენტებში - 1 პაციენტზე არაუმეტეს 10 სტუდენტის<br>• მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტში - 1 პაციენტზე არაუმეტეს 10 სტუდენტის<br>• პედიატრიის დეპარტამენტში - დეპარტამენტში - 1 პაციენტზე არაუმეტეს 10 სტუდენტის<br>• რეანიმაციის/ინტენსიური თერაპიის დეპარტამენტებში - 1 პაციენტზე არაუმეტეს 6 სტუდენტის“ - ძალაში შედის დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცებიდან ორი წლის ვადაში.<br>**2024 წლის 16 ნოემბერი დარგობრივი მახასიათებლის მე-5 პუნქტის (დამატებითი ინფორმაცია) 5.2 ქვეპუნქტით (მოთხოვნები მატერიალური რესურსისადმი) გათვალისწინებულ „კლინიკური დისციპლინების“ სვეტში არსებული ჩანაწერი: „უმაღლეს საგანმანათლებო დაწესებულებას უნდა გააჩნდეს საკუთარი, სათანადოდ აღჭურვილი (მაგალითისთვის იხ. დანართი # 1** | | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **ნიმუში) კლინიკური უნარების ცენტრი/ლაბორატორია 2024 წლის 16 ნოემბერი** | | | | |
| **საუნივერსიტეტო და აფილირებულ კლინიკასთან გაფორმებული, რეგულარულად განახლებადი ხელშეკრულება დეტალურად უნდა აღწერდეს მხარეთა უფლებებსა და ვალდებულებებს, მათ შორის:**<br>• ერთი აკადემიური წლის განმავლობაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მისაღები სტუდენტების მაქსიმალურ რაოდენობას;<br>• კლინიკურ სასწავლო კურსებს, რომლებიც ტარდება კლინიკაში და მათ ხანგრძლივობას;<br>• ინფორმაციას კლინიკური მოდულების განმახორციელებელ უმაღლეს საგანამანათლებლო დაწესებულება/ებ-ზე, აგრეთვე, ცხრილს/გრაფიკს კონკრეტული სასწავლო კურსის განმავლობაში დროის ერთი და იგივე მონაკვეთში სტუდენტების რაოდენობის მიღების შესაძლებლობის შესახებ.<br>უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება განათლების | საუნივერსიტეტო და აფილირებულ კლინიკებთან გაფორმებული ხელშეკრულებების რევიზია | თსსუ-ის იურიდიული სამსახური, თსსუ-ის კლინიკებთან ურთიერთობის სამსახური | საუნივერსიტეტო და აფილირებულ კლინიკასთან გაფორმებული ხელშეკრულებები | 2024 წელი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს ხელშეკრულების დადებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში აწვდის ინფორმაციას, საშუალოდ რამდენ პაციენტს იღებს და ემსახურება კლინიკა ერთი წლის განმავლობაში. აღნიშნული პირობა არ ვრცელდება იმ სუბიექტებზე, რომლებმაც კანონმდებლობის შესაბამისად, ფუნქციონირება დაიწყეს საანგარიშგებო წელს ან საანგარიშგებო წლის წინა წელს ისე, რომ ფუნქციონირების დაწყებიდან არ შესრულებულა საანგარიშგებო წლის სრული კალენდარული წელი. ერთ წლამდე გახსნილი კლინიკის შემთხვევაში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება კლინიკის მიერ გატარებული პაციენტების რაოდენობის შესახებ შესაბამის შუალედურ ინფორმაციას აწვდის უსდ-სთან ხელშეკრულების დადებიდან 6 თვის ვადაში.<br><br>**ასევე, ხელშეკრულების პირობების შეცვლის, ხელშეკრულების გაუქმების ან ახალი ხელშეკრულების დადების შემთხვევაში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია ცენტრს წერილობით აცნობოს ახალი ხელშეკრულების** | | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **დადებიდან, გაუქმებიდან ან ცვლილების განხორციელებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში და წარუდგინოს შესაბამისი ხელშეკრულება - ძალაში შევიდეს დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცებიდან ორი წლის შემდეგ.** 2024 წლის 16 ნოემბერი | | | | |
| **დარგობრივი მახასიათებლის მე-5 პუნქტის (დამატებითი ინფორმაცია) 5.2 ქვეპუნქტით (მოთხოვნები მატერიალური რესურსისადმი) გათვალისწინებულ „ფუნდამენტური დისციპლინების „ სვეტში არსებული ჩანაწერი:**<br>• დაწესებულებას უნდა ჰქონდეს საკუთარი შესაბამისად აღჭურვილი სასწავლო-კვლევითი ლაბორატორია. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კვლევითი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების მიზნით, დაწესებულებას შესაძლებელია ჰქონდეს საკუთარი ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევებისთვის ლაბორატორიის აღჭურვილობა და/ან მემორანდუმი/ხელშეკრულება ჰქონდეს გაფორმებული | შესრულებულია | - | - | შესაბამისი ინფრაქტრუტურა |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| შესაბამის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან. ლაბორატორია შესაბამისობაში უნდა იყოს ქვეყანაში დადგენილ ბიო და შრომითი უსაფრთხოების ნორმებთან.<br>• გათვალისწინებული უნდა იყოს სტუდენტების (მინიმუმ 5-6 სტუდენტზე გათვლით) კვლევითი/პრაქტიკული მუშაობისთვის შესაბამისი გარემოს არსებობა, უსაფრთხოების დადგენილი წესების დაცვით.<br>• უნდა არსებობდეს რესურსი და IT-ინფრასტრუქტურა სინქრონული და/ან ასინქრონული დისტანციური სამუშაო შეხვედრებისა და ფორუმების (მათ შორის - საერთაშორისო კომუნიკაციის ფარგლებში) ჩატარებისათვის.“ - ძალაში შევიდეს დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცებიდან ერთი წლის ვადაში.<br>2023 წლის 16 ნოემბერი | | | | |
| გლობალური ან ქვეყნის მასშტაბით საგანგებო სიტუაციების (მაგალითად, პანდემიის) დროს სამედიცინო განათლების ხარისხის და პროგრამის მდგრადობის შენარჩუნების მიზნით, რეკომენდებულია მედიცინის | შესრულებულია | - | - | https://tsmu.edu/ts/content/2/146/248/0/0/0; 2020/2021 და 2021/2022, თსსუ-ის შიდასამართლებრივი ადმინისტრაციული აქტები (იხ.დანართი 2) |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სკოლას/ფაკულტეტს კანონმდებლობით დადგენილი წესისა და პირობების საფუძველზე, დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცებიდან 1 თვის ვადაში შემუშავებული ჰქონდეს შესაბამისი გეგმა/კონცეფცია ელექტრონული/დისტანციური/ნახევრად დისტანციური სწავლების განსახორციელებლად კურიკულუმის შესაბამისი მოდიფიკაციით. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული გეგმით არ უნდა იცვლებოდეს - საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია.<br>16 დეკემბერი, 2022 | | | | |